პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,მაგთიკომისათვის"
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ------ ივლისის №---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,მაგთიკომისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №204876606), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განკარგულების დანართში ჩამოთვლილი ქონებების (წერტილები გარე განათების კონსტრუქციებზე) 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონებით სარგებლობის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა" და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2022 წლის 28 იანვარს გაფორმებული N2000102722 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (№005112422; 29.07.2022 წლის) მიხედვით, რომელიც შეადგენს 24 480.00 (ოცდაოთხიათასოთხასოთხმოცი) ლარს.

მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,მაგთიკომმა" (საიდენტიფიკაციო კოდის №204876606), სარგებლობაში გადაცემულ გარე განათების კონსტრუქციაზე წერტილი (17 (ჩვიდმეტი) ერთეული) გამოიყენოს მიკრო საბაზისო სადგურების განთავსებისათვის, უსაფრთხოების ნორმების და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების სრული დაცვით. სამუშაოების შესრულების შემდგომ უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოების წარმოება.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის ----- აგვისტოს
№ ------ განკარგულების დანართი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაგთიკომისათვის“

(საიდენტიფიკაციო კოდის №204876606)
პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ქონების ჩამონათვალი

N	მისამართი	ქონების დასახელება	გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილების რაოდენობა	საკადასტრო კოდი	განთვსების ღერძის კოორდინატები	
					X	Y
1.	ქალაქი ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზირზე (მარცხენა მხარე)	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.046	-	
2.	ქალაქი ქუთაისი, ანჯაფარიძის ქუჩა	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	-	310237.11; 4680218.54	
3.	ქალაქი ქუთაისი, ბუხაიძის ქუჩა მე-2 მიკრო რაიონი (მარცხენა მხარე)	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.023	-	
4.	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩაზე (მარცხენა მხარე)	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.070	-	
5.	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირზე (მარჯვენა მხარე)	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.073	-	
6.	ქალაქი ქუთაისი, გელათის ქუჩა და გელათის ქუჩის შესახვევები	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.045	-	
7.	ქალაქი ქუთაისი, ლერმონტოვის ქუჩა	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.338	-	
8.	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას დასახლება	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	3	03.00.086	-	
9.	ქალაქი ქუთისი, ფალიაშვილის ქუჩა	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.028	-	
10.	ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირზე (მარცხენა მხარე)	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.075	-	
11.	ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირზე (მარჯვენა მხარე)	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.072	-	
12.	ქალაქი ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	3	03.00.058	-	
	სულ		17			

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,მაგთიკომისათვის"
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ"

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა შპს ,,მაგთიკომის" მომართვა (10.05.2022 წ. № ED-22/05/10-007), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ გარე განათების კონსტრუქციაზე შპს ,,მაგთიკომის" მიკრო საბაზო სადგურების განთავსებას.

შპს ,,მაგთიკომის" მიერ მიკრო საბაზო სადგურების განთავსება იგეგმება ქალაქ ქუთაისში, აბაშიძის გამზირი N21-ის, ქალაქ ქუთაისში, ანჯაფარიძის ქუჩა N51-ის, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა N13-ის, ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N1-ის, ქალაქ ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირი N46-ის და N48-ის, ქალაქ ქუთაისში, გელათის ქუჩა N1-ის, ქალაქ ქუთაისში, ლერმონტოვის ქუჩა N20-ის, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას მე-2 ჩიხი N14-ის, ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N2-ის და N12-ის, ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა N4-ის, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი N95-ის და 141-ის, ქალაქ ქუთაისში, თამარ მერფის ქუჩა N16-ის, N36-ის და N54-ის მიმდებარედ განთავსებულ გარე განათების ბოძების ნაწილზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,მაგთიკომისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №204876606), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განკარგულების დანართში ჩამოთვლილი ქონების (გარე განათების კონსტრუქციაზე (მიკრო საბაზისო სადგურების განთავსების) წერტილი) 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა.

ქონებით სარგებლობის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა" და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2022 წლის 28 იანვარს გაფორმებული N2000102722 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (№005112422; 29.07.2022 წლის) მიხედვით, რომელიც შეადგენს 24 480.00 (ოცდაოთხიათასოთხასოთხმოცი) ლარს.

ამასთანავე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,მაგთიკომმა" (საიდენტიფიკაციო კოდის №204876606) სარგებლობაში გადაცემულ გარე განათების კონსტრუქციაზე წერტილი (17 (ჩვიდმეტი) ერთეული) გამოიყენოს მიკრო საბაზისო სადგურების განთავსებისათვის, უსაფრთხოების ნორმების და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების სრული დაცვით. სამუშაოების შესრულების შემდგომ უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოების წარმოება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,მაგთიკომისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი